შ.პ.ს. „ერ ტრანსი“

საქართველო, ქ.ბათუმი, ა. შანიძის N3
ტელ./ფაქსი: +995 42 222 56 68
მობ.: +995 5710303 42 / +995 571025024
ელ.ფოსტა: ertrans@gmail.com
ს/კ 445 496 749

LTD „ER TRANS”

Georgia, batumi, No.3.shanidze st.
Tel./faxs: +995 42 222 56 68
Mob.: +995 571 03 03 42 / +995 5710250 24
E-mail: ertrans@gmail.com,
i/c 445 496 749

N

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ერ ტრანსი“-ს (ს/კოდი: 445496749) დაგეგმილი აქვს ქ. ბათუმში,აკაკი შანიძის ქ. N3-შიმდებარე,შპს „ნაზირი და კომპანია“-ს (ს/კოდი: 248429446) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №05. 35. 28. 246) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

შპს „ერ ტრანსი“-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 ქვეპუნქტით (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას. ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და „ქ.ბათუმში, შპს „ერ ტრანსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (ქვიშა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 21 იანვრის №2-43 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გზშ-ს ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

№ 3819
04 03 2021
2/Cb

დანართი:

1. შპს „ერ ტრანსი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;

2.დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,
ანზორ დავითაძე
შპს „ერ ტრანსი''-ს დირექტორი